

ბაბოული ბანის გამოვლენა ლიტვურ ტრადიციულ პოლიფონიურ სიმღერებში

ლიტვური პოლიფონიური სიმღერა – *სუტარტინეს* – ლიტვური ფოლკლორის საეიზიტო ბარათად იქცა. ამ პოლიფონიურ სიმღერებს უდიდესი ყურადღება დაუთმეს როგორც ლიტველმა მკვლევარებმა – ზენონას სლავიუნასმა, იადვიგა ჩიურლიონიტემ, დაივა რაჩინაიტი-ვიჩინიენემ და სხვებმა, ასევე უცხოელმა მეცნიერებმა – მარტინ ბოიკომ, ელის ელშეკოვამ, ჟერალდ ფლორიან მესნერმა და ა.შ. (Slaviūnas, 1958, 1959, 1967, 1972 etc.; Ciurlionyte, 1968; Račiūnaitė-Vyčienienė, 2000a, 2000b, 2002a, 2002b, 2004 etc.; Boiko, 1990, 1992, 1996; Elschekova, 1981; Messner, 1980 etc). სამწუხაროდ, სოფლად *სუტარტინესის* ორიგინალურმა ფენომენმა განდევნა ლიტვური პოლიფონიის ზოგიერთი სხვა ფენომენი. ერთ-ერთი მათგანი არის გაბოული ბანი, ანუ ბურდონი. აქამდე ლიტველი ეთნომუსიკისმცოდნეები ამ ფენომენს უყურადღებოდ ტოვებდნენ (თითქოს იგი ლიტვაში არც არსებობდა). XX საუკუნის დასასრულისათვის სოფელ ნიბრაგალისში (პანევეჟეს რეგიონში) დაფიქსირებულია სპეციფიკური სიმღერა „ბანიო“ (დიალექტში *bosavojanė*). სწორედ ამ ფენომენმა გამოიწვია ჩვენი ინტერესი ლიტვური გაბოული ბანის კვლევის მიმართ (Račiūnaitė-Vyčienienė, 2001). ბურდონული სიმღერის ტრადიციაზე (ან მის ცალკეულ გამოვლინებებზე) მეტყველებენ სხვადასხვა წყაროები: ჩანაწერები, რესპოდენტების გამონათქვამები სიმღერისა და ფოლკლორული ტერმინოლოგიის შესახებ.

„სტვირის“ ბურდონის ერთი მაგალითი გამოქვეყნებულია 1916 წელს გამოცემულ, ადოლფას საბალიაუსკას მიერ შედგენილ ჩრილო-აღმოსავლეთ ლიტვის სიმღერების კრებულში (Sabaliauskas, 1916). სამწუხაროდ, ამ მაგალითმა არ მიიქცია ეთნომუსიკისმცოდნეების ყურადღება. სიმღერის ტექსტში საუბარია დაფქვის პროცესის შესახებ, შესაბამისად, სავარაუდოა, რომ ბურდონი ნისქვილის ქვების გუგუნის იმიტაციას წარმოადგენს (იხ. მაგ.1)

მსგავსი მაგალითები მოგვიანებითაც არის ჩანერილი. ჩვენ მათ კოლექტიურ *სუტარტინესებს* ვუნოდებთ (Račiūnaitė-Vyčienienė 2000, 2002 a, 2002b). ტრადიციულისგან ისინი ხმათა და შემსრულებელთა უფრო დიდი რაოდენობით განსხვავდებიან. მათში იმღერება დაფქვის პროცესის შესახებ ან იმიტირებულია ამ პროცესში ნისქვილის ქვებით გამოცემული ხმები (მათი ზუზუნი). ბანის პარტია, როგორც წესი, წარმოადგენს დაბალ გაბოულ ბგერას ხმოვანზე u (ხანდახან ზუზუნი იმიტირებულია ორი მომიჯნავე ბგერის მონაცვლეობითი ჟღერადობით – ოსტინატოთი) (იხ. მაგ.2; 3)

კოლექტიური *სუტარტინესების* საკმაოდ დიდი ჯგუფი აგებულია სპეციალურ ტექსტზე „Buvo duda Vilniuj“ („იყო სტვირი ვილნიუსში“). ამ ჯგუფის სიმღერებში მონაწილეობს ერთი დაბალი ხმა. იგი სრულდება რიტმულად თავისუფალი რეჩიტატივის თანხლებით („buvo, buvo, kaip ne buvo“ – „იყო, იყო, ნამდვილად იყო“; „gal ir buvo, gal ir ne“ – „შეიძლება იყო, შეიძლება არა“; „ბუვო, ბუვო“ – „იყო, იყო“ და ა.შ.) და, შესაძლებელია, იმიტირებს სტვირის ჟღერადობას (იხ. მაგ. 4)

ზემოთ ხსენებული *სუტარტინესების* ჯგუფის ნაწილი შეიცავს განსხვავებულ ტექსტს: „Buvo boba (diedas, dede) Vilniuj“ – „იყო მოხუცი ქალი (კაცი, ბიძა) ვილნიუსში“, „Buvo Balnis bulvese“ – „იყო ბალნისი კარტოფილის მინდორზე“, „Turi svocia zasi“ – „ჰყავდა მაჭანკალს თხა“ და ა.შ. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ისინი

არ არიან დაკავშირებული სტვირთან, ზოგიერთი ხმა ზუსტად იმეორებს „სტვირის“ სუტარტინესის ხმებს: „იყო, იყო; შეიძლება იყო, შეიძლება არა“ და ა.შ. ამასთან, ისინი არ იმიტირებენ არაფერს კონკრეტულს. კოლექტიური სუტარტინესების დიდი ნაწილი ჰომოფონიურია. ერთი ხმა წამყვანია, ხოლო დანარჩენები მას აკომპანემენტს უწევენ (ამასთან, ყველა პარტია ეყრდნობა დამოუკიდებელ რიტმულ ფორმულას). ხმათა ურთიერთდამოკიდებულებაში ხშირად წარმოიქმნება კვარტ-სექსტაკორდები, სამხმოვანებები და ფუნქციონალური ჰარმონიისათვის დამახასიათებელი სხვა აკორდები (იხ. მაგ. 5).

გარდა ამისა, მოიძებნება მრავალი სუტარტინესი, სადაც ევროპული ჰარმონიის კანონები თითქოს არ არის გამოვლენილი. მათი ნაწილი ხშირად „ანგრეეს“ კლასიკური ჰარმონიის წესებს (იხ. მაგ. 6).

ისმის კითხვა: რომელია კოლექტიური სუტარტინესებიდან უფრო გვიანი? ჩამოყალიბდნენ თუ არა ისინი მაშინ, როდესაც გავრცელდა (ან დამკვიდრდა) ჰომოფონიური მრავალხმიანობა? ამ პრობლემას ნათელს ჰფენს ამ საკითხთან დაკავშირებული მომღერლების გამონათქვამების დიდი რაოდენობა. მომღერლები ამტკიცებენ, რომ ამ სუტარტინესებს ასრულებდა მონაწილეთა – ქალებისა და მამაკაცების დიდი ჯგუფი (20-ზე მეტი). ყოველი მათგანი ირჩევდა (ან, ზოგიერთი იქვე თხზავდა) ხშირად უშინაარსო ტექსტს, რომელიც გამღერებული იყო განსაზღვრულ რიტმში. საყურადღებოა, რომ ყველა ირჩევდა განსხვავებულ ბგერათსიმალეს: ზოგი მღეროდა უფრო მაღალი ბგერიდან, ზოგი უფრო დაბალიდან და ა.შ. მომღერალთა გამონათქვამების მიხედვით „ეს იყო უბრალო ყვრილი, ან ერთგვარი შეჯიბრი, თამაში“ (Slaviūnas, 1959:706,708). ზოგიერთი მათგანი იხსენებს, რომ ასეთი ტიპის სიმღერა გავრცელებული იყო მწყემსებში, სხვები აღნიშნავენ, რომ უკავშირდებოდა კარგ მოსაგალს, სანახაობებს (იქვე, 710-711). ამრიგად, ეს გამონათქვამები ადასტურებენ, რომ კოლექტიური სუტარტინესებისთვის არ იყო უცხო არქაული არტიკულაცია (რეჩიტაცია განუსაზღვრელი სიმალლის ბგერებზე). როგორც ცნობილია, იგი ფოლკლორის უძველეს პლასტებს ახასიათებს (იხ. მაგ. 7).

არაა საფუძველს მოკლებული ვარაუდი, რომ კოლექტიური (ოსტინატო, ბურდონული) სიმღერის ფესვები შორეულ წარსულში იკარგება. ასევე, თვალნათელია, რომ ზემოთ აღნიშნულ მაგალითებში ფუნქციონალური ჰარმონიის აკორდების უღერადობა ჰომოფონიური მრავალხმიანი აზროვნების ზეგავლენით შემოდის. ლიტვური ტრადიციული ბურდონული სიმღერის უძველესი ნიმუშები ადასტურებენ სხვა ფაქტებსაც.

• მომღერლები მოგვითხრობენ ტრადიციულ სუტარტინესში „ბზუილის“ პარტიის შესახებ. (გავიხსენებ, რომ ზმნა *uzti* პირველადი მნიშვნელობა არის „დაბლა განლაგება, ბანის გაბმა“). ზოგიერთ სუტარტინესში მესამე ხმას მელოდია მიყავს არა სიტყვებით, არამედ დაბალი ხმით ზუზუნებს *u-u-u*. ხანდახან ემატებოდა მეოთხე ხმაც, რომელიც ასევე ზუზუნებდა *u-u-u* სიტყვების გარეშე (Raėūnaitė-Vyėūnieni , 200b:97-98).

• კოლექტიური სუტარტინესების *”Buvo dudoj velnias”* („იყო სტვირში ეშმაკი“) გარკვეული ნაწილი ჩანერილია შვენჩიონის რეგიონში (დასავლეთ ლიტვა, ბელორუსიის საზღვარზე), რომელიც შემონახული უძველესი დაკონსერვებული წეს-ჩვეულებებით, ტრადიციებით, დიალექტითა და ფოლკლორით. ჩვენს მიერ გამოკითხული ადამიანები აღნიშნავენ, რომ ეს სუტარტინესები გუდასტვირის მუსიკის იმიტაციას ახდენენ (Raėūnaitė-Vyėūnieni , 2000b:98), ხოლო ჩვენი ყურადღება მათმა უცნაურმა ტექსტმა მიიქცია (Raėūnaitė-Vyėūnieni , 2002a:312; 2000b:98; 2004:20-21) (იხ. მაგ. 8).

• ჩვეულებრივ, ამ ტიპის *სუტარტინესებში* მოცემულია ტექსტი „სტვირი ვილნიუსში“ ან „ბიდა (მოხუცი ქალი) ვილნიუსში“. თვალნათელია, რომ კავშირი სტვირსა და ეშმაკს (ან სხვა ზებუნებრივ არსებას შორის) არ არის შემთხვევითი. ჩვენ განსაკუთრებით დაგვაინტერესა იმ ფაქტმა, რომ ბანის პარტიაში u-u-u-ს გაბმული გამღერება თითქოს იმიტირებს ეშმაკის ხმას. მეტად ღირებულება მოსაზრება, რომ ოდესღაც, განსხვავებულმა ერებმა ზმულით წარმოებულ ხმა ერთნაირად წარმოიდგინეს, როგორც ზებუნებრივ სამყაროსთან დაკავშირებული, (სხვათაშორის, მნიშვნელობა არა აქვს თუ როგორ და რომელ ინსტრუმენტზე იგი შესრულებული) (*Encyklopedia instrumentow muzycznych...*; Klotiņš, Muktupāvels 1989; *Musikinstrumente der Welt...*; Olędzki, 1978; Sachs, 1975; Ņōāōēē, 1993, etc.). შეიძლება ითქვას, რომ წარსულში ნებისმიერი დაბალი გაბმული ბგერები ან მათი მონოტონური გამეორება აღიქმებოდა როგორც ვილაციის (უფრო ხშირად ზებუნებრივი არსებების) ზმული, გუგუნი, ჩურჩული. ამასთან, ხსენებული დაფქვის პროცესთან (ნისქვილის ქვების ზუზუნთან) დაკავშირებული *სუტარტინესები* შესაძლოა დაკავშირებულნი იყვნენ ზებუნებრივი არსებების მიერ გამოცემულ ხმებთან. ლიტვური მითოლოგიის მკვლევარის, ნიჟოლე ლაურინკიენეს თანახმად, „...ცეცხლის ან ქექა-ქუხილის გაელვება ორ ქვას შორის უკავშირდება წარმოდგენას, რომ პერკიუნასი (ქექა-ქუხილის ღვთაება) ფქვავს წისქვილში...“ (Laurinkienė, 1996:109).

• ნიბრაგალისში უკანასკნელ ხანს დაფიქსირებულ ქალთა ბურდონულ სიმღერებს ახალ მოსაზრებები შემოაქვთ წარმოდგენაში უძველესი ბურდონის შესახებ (იხ. მაგ 9, 10).

დღესდღეისობით, ისინი სამ ხმაში იმღერება, თუმცა წარსულში აღნიშნავენ ოთხხმიანობის შესახებ. ერთ-ერთი იმღერებოდა ძალიან დაბალ ხმაში. მას უწოდებდნენ *tranavimas*, რომელიც „გაბმულ, დაბალ, მონოტონურ ზმულის“ წარმოადგენს, ხოლო მის შემსრულებელს – *tranas* – „გაბმულ ბანს“. ზმნა *tranuoti* (ბანის გაბმა) ნიშნავს „თრევას, ზიდვას“. ასევე *A drone* არის დედა ფუტკარი, ხოლო ლიტვურ დიალექტში იგი ჟღერს როგორც *binbalas, kamane* (ბზიკი) (Lyberis, 1981:59-60,448). *tranavimas* ვარიაციები (სიტყვა *tranuotojas* ნიშნავს „მძიმედ თრევას“; *tranas* ნიშნავს „დედა ფუტკარის ბზილს, ზუზუნს“) საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ, რომ ნიბრაგალისის სასიმღერო ტრადიციაში დაბალი ხმის პარტია ზუზუნით სრულდებოდა (შესაძლოა, წარმოდგენდა გაბმულ ბანს) (Raėiūnaitė-Vyėunienė, 2004:22). ლატვიელები აღნიშნავენ, რომ გაბმული ბანის შემსრულებლებს უწოდებდნენ *vilseja* (ის ვინც მიათრევს; ის ვინც ეზიდება), *duseja* (ის ვინც ქვევითაა განლაგებული, გაბმული ჟღერადობა), ან *ruceja* (ბუზლუნა, ის ვინც ბურტყუნებს და ა.შ.) (Balkeviėius, Kabelka 1977:711,166,562,563). საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ ყველა ზემოხსენებული ტერმინის მნიშვნელობა ორგანულად პასუხობს ზოგად წარმოდგენას ლიტვური გაბმული ბანის (*tranavimas*) შესახებ. ასევე მნიშვნელოვანია, რომ სამუსიკისმცოდნეო ლიტერატურაში დაბალ გაბმულ ჟღერადობას ბურდონს უწოდებენ; ფრანგული ბურდონი – „ბზიკი“; ცრუ ბურდონი (*fauxburdon*) – „გაბმული ბანი“; *bordonnement* – „ფუტკარის ბზილი“, „გუგუნი“ (მრავალი ხმის ბუნდოვანი ჟღერადობა) (*Prancūzių-lietuvių kalbų •odinas...* 114). ინგლისურში *Drons* შემდეგი მნიშვნელობები აქვს: *Drone* არსებ. 1) „ზუზუნი, ზმული“; 2) ზოოლ. ფიგურ. „პარაზიტი, მუქთახორა“; *Drone* ზმნა 1) „დაბალი გაბმული, მონოტონური ჟღერადობის გამოცემა“; 2) „მონოტონური საუბარი“ (*Āi žēi -dōnēēē nēi ādū...* 259). *Drone* გერმანულში – *Drohne*: 1) „გაბმული ჟღერადობა“; 2) „პარაზიტი, მუქთახორა, უსაქმური“; *drohnen* – „გრუხუნი, გორება, გუგუნი“ (*Š lapoberskis 1971:228*).

თვალნათელია, რომ ტერმინ *tranavimas* ზემოთ ხსენებული მნიშვნელობები შესაძლებელია დაკავშირებული იყოს კოლექტიური *სუტარტინების* ბურდონულ ხმასთან, რომელიც ეყრდნობა მარცვლებს *bim-bam*. მათი წარმოშობა შესაძლოა განსხვავებული იყოს:

- 1) მწერების იმიტაცია – ბზილი (*bimbilas* – ბზიკი, ემსგავსება *bim-bam*);
- 2) მუქთახორა, უსაქმური, სალაპარაკო ენაში – *bimbinejimas* (ასევე შესაძლებელია დაკავშირებული იყოს უფრო გვიანდელი ფოლკლორის ბურდონის ეტიმოლოგიასთან: ის ვინც მღერის მხოლოდ ერთ ბგერას და სხვას არაფერს აკეთებს).
- 3) *bim-bam* (*bim-bom*) მარცვლები გავრცელებულია მთელს ლიტვაში და ზარის რეკვის იმიტაციად აღიქმება (ამ ტიპის ბურდონი მიესადაგება „a big bell“-ს – „დიდი ზარი“) (*Muzikos enciklopedija...* 218); შესაძლოა აქ ერთგვარი პარალელური ვიპოვოთ სარდინიულ სასიმღერო ტრადიციაში მამაკაცთა მალალ ხმაში აკომპანემენტის განმეორებად (ოსტინატურ) მარცვლის შემქმნელ ბგერებთან *bim-ba-ram bam bam; bim-bom*, და ა.შ. (*Muszkalska, 1999:159–160*).

როგორც ვხედავთ, ნიბრაგალისის სიმღერების *tranavimas* (გაბმული ბანი) ორგანულად ეწერება ბურდონული პოლიფონიის ყველაზე გავრცელებული (მთელს ევროპაში) მნიშვნელობების სფეროში (*Boiko 1990, Boiko 2000; Brambats 1983; Brandl 1976; Gerson-Kiwi 1972; Vogel 1966; Walter 1981, etc.*).

ამავე დროს, აქ მოცემული მაგალითების ჩამონათვალი არასრულია, რაც უფლებას არ გვაძლევს გავაკეთოთ რაიმე მეტად მნიშვნელოვანი დასკვნები. თვალნათელია, რომ ეს მაგალითები ბურდონული სასიმღერო ტრადიციის მხოლოდ ფრაგმენტს შეადგენენ. ამასთან ერთად, მათ ატყვიან არქაული ბურდონული პოლიფონიის კვალი, რომელიც ფართოდაა გავრცელებული როგორც მეზობელ ერებში, ასევე უფრო შორეულ ტერიტორიებზე. შეიძლება ეს ლატვიური ბურდონული სიმღერის უფრო გვიანდელი, მაგრამ აქამდე არსებული გავლენა იყოს. შესაძლოა, წარმოადგენდეს ლიტვურ სპეციფიკურ ფენომენს. ამ მომენტისათვის ამ კითხვას ჩვენ ღიად ვტოვებთ.

References

- Balkevičius J., Kabelka J. (1977). *Latvija -lietuvių kalbų podynas*. – Vilnius: Mokslas.
- Boiko, M. (1992). *On the Interaction Between Styles in Baltic Folk Music: Sutartinės Polyphonie and East Baltic Refrain Songs // European Studies in Ethnomusicology: Historical Developments and Recent Trends / Baumann M.P., Simon A. and Wegner U. (Hrsg.). – Wilhelmshaven: Florian Noetzel Verlag, P. 218–236.*
- Boiko, M. (1996). *Die litauischen Sutartinės*. Eine Studie zur Baltischen Volksmusik / Dissertation zur Erlangung der Würde des Doktors der Philosophie der Universität Hamburg. Hamburg.
- Boiko, M. (2000). *Zum Begriff 'Bordun': Etymologie, Bedeutung, Geschichte*. – <http://www.uni-bamberg.de/ppp/ethnomusikologie/Bordun.htm> – Stand 5. April 2000; Letzte Änderung 18.01.2001. Homepage. – P. 1–42.
- Brambats, K. (1983). *The Vocal Drone in the Baltic Countries: Problems of Chronology and Provenance // Journal of Baltic Studies 14 (1).*
- Brandl, R. M. (1976). *Über das Phänomen Bordun (Drone)*. Versuch einer Beschreibung von Funktion und Systematik // Beiträge zur Ethnomusikologie / Herausgegeben von Kurt Reinhard / Studien zur Musik Südost-Europas. – Hamburg: Verlag der Musikalienhandlung Karl Dieter Wagner, – S. 90–121.
- Ėiurlionytė, J. (1968). Die Sutartine – eine besondere Art des litauischen mehrstimmigen Volksliedes // Deutsches Jahrbuch der Musikwissenschaft, 1967, Jg. 12. – Leipzig: Edition Peters. – S. 116–123.
- Denisova R., Boiko M. *Mū su čras I. gadu tū kstotis baltu tautu etniskajā vçsture un tā atbalsis tautas mūzikā // Grāmata*. – A.D. MCMXC III. – P. 5 – 13.
- Encyklopedia instrumentow muzycznych (od czasow przedhistorycznych do XX wieku). (1995). Racibórz: R.A.F.Scriba.
- Elscheková, A. (1981). *Vergleichende typologische Analysen der vokalen Mehrstimmigkeit in den Karpaten und auf dem Balkan // Stratigraphische Probleme der Volksmusik in den Karpaten und auf dem Balkan / Editor A.Elscheková*. – Bratislava: Veda, Verlag der Slowakischen Akademie der Wissenschaft. S. 159–256.
- Gerson-Kiwi E. (1972). *Drone and 'Dyaphonia Basilica' // Yearbook of the International Folk Music Council, vol. IV*. – P. 9–23.
- Klotiņš A., Muktupāvels V. (1989). *Tradiciniai muzikos instrumentai ir jų funkcijø latviø liaudies dainose semantika // Liaudies kultūra, 2001, Nr. 4*. – P. 32–43. (orig: Klotiņš A., Muktupāvels V. traditional Musical Instruments and the Semantics and Poetics of Latvian Folk Songs / Ed. By Vaira Vīķe-Freiberga. – Kingston and Montreal: McGill-Queens's University Press. P. 186–214.).
- Laurinkienė N. (1996). *Senovės lietuvių dievas Perkūnas*. – Vilnius: Lietuvių literatūros ir tautosakos institutas.
- Lietuvių dainų ir giesmių gaidos / Lietuvos diaurės rytuose surinko kun. A. Sabaliauskas*. (1916). Helsinkis.
- Lyberis A. (1981). *Sinonimų podynas*. – Vilnius: Mokslas.
- Messner G. (1980). *Die Schwebungsdiaphonie in Bistrice*. Untersuchung der mehrstimmigen Liedformen eines mittelwestbulgarischen Dorfes. – Tutzing: Hans Schneider.
- Muszkalska B. (1999). *Tradycyjna wielogłosowość wokalna w kulturach basenu Morza Śródziemnego*. – Seria Muzykologia nr. 6. – Wydawnictwo Naukowe Uniwersytetu im Adama Mickiewicza w Poznaniu.
- Musikinstrumente der Welt. (1988). München: Sonderausgabe für Orbis Verlag für Publizistik GmbH.

Muzikos enciklopedija. (2000). T. I: A–H. – Vilnius: Lietuvos muzikos akademija, Mokslo ir enciklopedijų leidybos centras.

Olædzki St. (1978). *Polskie instrumenty ludowe*. – Kraków: PW M.

Prancūzų-lietuvių kalbų podynas. (1992). Sudarė A. Jučkienė, M. Katilienė, K. Kaziūnienė. – Vilnius: Valstybinis leidybos centras.

Raėiūnaitė-Vyėinienė D. (2000a). *Sutartinio atlikimo tradicijos*. – Vilnius: Kronta.

Raėiūnaitė-Vyėinienė D. (2000b) *Dviejų pradų – vokalinio ir instrumentinio – susipynimas sutartinėje „Buvo dū da Vilniuj“ // Lietuvos muzikologija*, 1. – Vilnius: Lietuvos muzikos akademijos leidykla ir Kultūros ir meno instituto leidykla „Gervė“. – P. 89–103.

Raėiūnaitė-Vyėinienė D. (2001). *Raguvos dainų melodikos ir dainavimo stiliaus ypatumai // Raguva*. – Vilnius: Versmė. P. 819–829.

Raėiūnaitė-Vyėinienė D. (2002a). *Lithuanian Polyphonic Songs Sutartinės*. – Vilnius: Vaga.

Raėiūnaitė-Vyėinienė D. (2002). *Lithuanian Schwebungsdiaphonie and its South and East european Parallels // The World of Music. Traditional Music in Baltic Countries [Editor Max Peter Bauman]*, vol. 44 (3). Berlin: Verlag für Wissenschaft und Bildung, 2002(b). – S. 55–77.

Raėiūnaitė-Vyėinienė D. (2004). *Beieðkant lietuvių ir latvių daugiabalsių dainų bendrybės // Liaudies kultūra*, 2004, Nr. 4. – P. 16–25.

Sachs C. (1975). *Historia instrumentow muzycznych*. – Warszawa: PW N.

Slaviūnas Z. (1967). *Zur litauischen Volkspolyphonie // Deutsches Jahrbuch für Volkskunde*, Bd. XIII. – Berlin.

Ūėãâþ í ãñ Ç. (1972). *Ūóò àðò èí àñ. Ì í í ãí ãí èí ñí ú á ï ãñí è èèò í ãñéí ãí í àðí àà. – Èáí èí ãðãã: Ì óçú èà.*

Sutartinės: Daugiabalsės lietuvių liaudies dainos / Sudarė ir paruoðė. Z. Slaviūnas. (1958). T. 1, 2; (1959). T. 3. Vilnius.

Š lapoberskis D. (1972). *Vokiečių lietuvių kalbų podynas*. – Vilnius: Mintis.

Walter K. (1981). *Der Bordun im später Mittelalter und in der frühen Renaissance // Der Bordun in der europäischen Volksmusik. Bericht über das 2. Seminar für europäische Musikethnologie St.Pölten [Hrsg. Von Walter Deutsch]*. – Wien: Verlag A.Schöndel. – S.176–196.

Vogel M. (1966). *Musika falsa und falso bordone // Festschrift für Walter Wiora zum 30. Dezember 1966 / Herausgegeben von Ludwig Fischer und Christoph-Hellmut Mahling*. –Kassel, Basel, Paris, London, New York: Bärenreiter. – S. 170–176.

Áí ãëí -ðóññèé ñéí ààðú. (1991). *Èçãáí èà 23-à, ñòàðáí ðèí í í à. – Ì í ñèãã: Àèüéí ð.*

Áí èéí Ì . (1990). *Ýò í í èñò í ðè-ãññèã àñí àéò ú èàò ú ð ñéí ãí áóðáí í í í ãí í í í ãí ãí èí ñéý // Áàèòú, ñèããýí á, í ðèããèðèéñèã à ó èí ú. Ýóí í ãáí àðè-ãññèã í ðí óãññú [Ì í à. ðãã. Ðàèñú Ááí èñí áí é]. – Ðèãã: Çéí àóí à. – Ū. 82–108.*

Áèçèðèó Æ. (1985). *Ì í èãããñèã í àðí áí ú á ï óçú èàéí ú á èí ñò ðóí áí ò ú. – Èèø áí àã: Èèòàðàóòðà àðèèðèé.*

Ūóçóèãé Á. Þ . (1993). *Áóðáí í í í -í áãðò í í í áãý í ñí í àà ò ðããèðèí í í í ãí èí ñò ðóí áí ò àèüí í ãí ï óçèðèí ááí èý ò óáéí óãã. – Èú çú è: Óãàéí ñèéé í àó-í í -èññèãáí ààðàèññèéé èí ñèèóóò ýçú èà, èèðàðàóòðú è èñóí ðèè.*

მზგალითი 1. Sabaliauskas 1916: N17.

EXAMPLE 1. Sabaliauskas 1916: N17.

♩ = 126 Oh mon sac fait d'étoupe

A. Ma - no mai šas pa - kul - nis, Tri - ny - tiš - kai aus - tas.

B. Maišas ira, rugiai bira. Maišas

მზგალითი 2. Slaviūnas 1959: N1767.

EXAMPLE 2. Slaviūnas 1959: N1767.

♩ = 96

A. E - jo se - suo van - de - nė - lio su rū - re liy vai - ni - ké - liu.

B. Ge - le - ži - nė mel - ny čia, ge - le - ži - nė mel - ny čia.

C. Di - lia, di - lia, di - lia, di - lia, di - lia, di - lia, di - lia, di - lia.

D. Uu - - - - -

მზგალითი 3. Slaviūnas 1959: N1782.

EXAMPLE 3. Slaviūnas 1959: N1782.

♩ = 89-91

Ber - nas mer - ga, a bu jau - ni, bu - vo Vil - nijui, bu - vo Kau - ne.

ū ū, ū ū, ū ū, ū ū.

გაბალოთი 4. Slaviūnas 1959: N1786.

EXAMPLE 4. Slaviūnas 1959: N1786.

I
 Bu - vo dū - da Vil - niuj, Bu - vo dū - da Vil - niuj.

II
 Gal bu - vo, gal ne - bu - vo. Gal bu - vo gal ne - bu - vo.

III
 Aš, dé - dyt ne - ži - nau ir na - mie ne - bu - vau.

IV
 Bu - vo, bu - vo, kaip ne - bu - vo, bu - vo, bu - vo, kaip ne - bu - vo,

გაბალოთი 5. Slaviūnas 1959: N1784.

EXAMPLE 5. Slaviūnas 1959: N1784.

$\text{♩} = 100$

I
 Bu - va dé - de Vil - niuj, bu - va dé - de Vil - niuj.

II
 Gal bu - va, gal ne - bu - vo. Gal bu - va gal ne - bu - va.


III
 Bu - va, bu - va, kaip ne - bu - va, bu - va, bu - va, kaip ne - bu - va.

IV
 Bu - va, bu - va, bu - va, bu - va.

მზაპლითი 6. Račiūnaitė-Vyėinienė 2002: N9.

EXAMPLE 6. Račiūnaitė-Vyėinienė 2002: N9.

♩ = 96



I
Te - vai, ru - glai byr', te - vai, ru - glai byr'.

II
Mai-šas yr', ru - glai byr', mai-šas yr', ru - glai byr'.


III
Kad yr', tai ir byr', kad yr', tai ir byr'.

IV
Kas tau dar-ba, kad man byr', kas tau dar-ba kad man byr'?

მზაპლითი 7. Račiūnaitė-Vyėinienė 2002: N24.

EXAMPLE 7. Račiūnaitė-Vyėinienė 2002: N24.

♩ = 120



I
Bu-va die-dis Vil - niuj, bu-va die-dis Vil - niuj.

II
Val-se-su-te, ne - ži-nau, nei na-mie ne - bu-vau.


III
Gal iy bu-va, gal iy ne, gal iy bu-va, gal iy ne.

IV
Bu-va bu-va, kaip ne bu-va, bu-va bu-va, kaip ne bu-va.

მზაპლითი 8. Račiūnaitė-Vyėinienė 2002: N10.

EXAMPLE 8. Račiūnaitė-Vyėinienė 2002: N10.

♩ = 120



I
Bu-va dū-daj vel - nias, bu-va dū-daj vel - nias.

II
Die - va-ži, ne - ži-nau, vi - sus lau-kus iš - laks-ciau,
nie-kur vel-nia ne - ra - dau.

III
Vū - - - ū - - - ū - - - ū!

მსგავლითი 9. Račiūnaitė-Vyėinienė 2001:854.

EXAMPLE 9. Račiūnaitė-Vyėinienė 2001:854.

Aš iš - dai - na - vo vi - sus dai - nia - lus,
 da via - nas nia - dai - na - vo,
 da via - nas nia - dai - na - vo.

მსგავლითი 10. ბურდონული ბანის შემსრულებლები ნიბრაგალის სოფლიდან

EXAMPLE 10. Performers of singing 'with bass' from Nibragalīs village: Stasė Barkauskienė-Kuncytė (1928), Petronėlė Kurulienė-Kuncytė (1924), Petronėlė Baublienė-Kapdytė (1914), and Verutė Zimnickaitė (1928).

